[პრო]ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტარტაროზი



გარბიან ყველა: აზნაური, ჩარჩი, ხუცესი,
მათი ნაბიჯი არის მათზე უფრო უგრძესი.

შესდექით ყველა, თქვენს ჭენებას აქ აქვს საზღვარი,
უკვე დაგერჭოთ ტარტაროზის გრძელი ლახვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუმორისტული დამატება
გაზეთი „მუშის"

## „ტარტაროზი"

დაურიგდება უფასოდ
ყველა ხელის მომწერლებს.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ვანო სარაჯიშვილი
ტარტაროზი
ბრძანება № 1
ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს
გაუმაწვილება
სრულიად საქართველოს სატარტაროზო კონფერენცია
შარადები
სიხარული
ჯორიდან გადმოხტომა
საპნის ტრესტი
ამბროსის ახალი ნაშრომი
ჩემი თვალით ნახული
პროვინცია
წერილი რედაქციის მიმართ
განცხადება

# სახალხო მომღერალი ვანო სარაჯიშვილი

11 ნოემბერს ტფილისში გარდაიცვალა სახალხო მომღერალი ვანო სარაჯიშვილი.

ვანოს სიკვდილი აუნაზღაურებელი ზარალია ქართული კულტურისა და ნამეტნავად ახლად ფეხადგმულ ქართულ ოპერისათვის.

ვანო სარაჯიშვილის ცხედარს დღეს, 16 ნოემბერს დაასაფლავებენ სახელმწიფო ოპერის ბაღში.

F 252/1924



F 926

## ატირებული აბესალომი

შენ ხალხის გული დაიდგი ტახტად,
მის ჭრილობებში ვარდებს სთესავდი,
შენთვის ცხოვრება სიმღერად გახდა
და სიმღერაში ცრემლებს ლესავდი.
[illegible] იყავ მზესავ სწვდებოდი,
[illegible] როგორც ნათელი სვეტი,
და როს მზის ცეცხლით დაიწვებოდი,
არა გწამდა რა — ჰანგების მეტი.

მაგრამ მოვარდა [illegible]
არყოფნის ჯანღმა დაჰფარა [illegible]
შენ მოსწყდი მწვერვალს — ვით მძლავრი ზვავი,
და სამუდამოდ თვალს მიეფარე...
დღეს შენს კუბოსთან ხალხი თავს დახრის,
[illegible] გულთვა [illegible],
და შენს საფლავზე [illegible]
[illegible] ატირებული აბესალომი.

ს. [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1 | კვირა, 16 ნოემბერი | 1924

# ტარტაროზი

—რატომ მაინცადამაინც ტარტაროზი და არა სხვა რამ, აი თუგინდ „ლახვარი“, „შუბი“, „ჰინჯარი“, „მაკრატელი“ და ან სხვა რაიმე თანამედროვე სახელწოდება?,

აი პირველი კითხვა,—რომლითაც მოგვმართეს ჩვენ, როდესაც გაიგეს „ტარტაროზის“ მოვლინების ამბავი.

„თანამედროვე“!— არსად ასე უადგილოთ და უდროოდ არ უხმარიათ ეს სიტყვა, როგორც ამ შემთხვევაში.

აბა თითონ გასინჯეთ, რატომ არის თანამედროვე „ლახვარი“ და „უთანამედროვე“ „ტარტაროზი“,

თუ ისტორიას მივმართავთ და ამ კითხვის გადამჭრელათ მოვიშველიებთ მის დაობებულ ფურცლებს, ჩვენ მივალთ იმ დასკვნამდე, რომ „შუბი“ და „ტარტაროზი“ თითქმის ერთსა და იმავე ხანაში წარმოიშვენ.

მოგეხსენებათ, შუბი— ეს ერთად ერთი და გაწუშორებელი იარალი იყო წმინდა გიორგის, ხოლო ის იარალს, უმეტეს შემთხვევაში, ტარტაროზის წინაალმდეგ ხმარობდა.

არა გჯერათ!

მაშ წაიკითხეთ დამფუძნებელი კრების ანგარიშები. იქ შავზე თეთრათ სწერია—„წმინდა (ანუ თეთრი) გიორგი იფარავდა საქართველოს ავსულებისა და ბოროტი ძალისაგან. ის მუდამ ლახვარმომარჯვებული დარაჯობდა საქართველოს თავისუფალ სულს და მისი შიშით ახლოს ვერ ეკარებოდენ ვერც ტარტაროზი და ვერც სხვა რომელიმე ჯოჯოხეთის ძალა“.

ასე სთქვა დამფუძნებელი კრების ერთერთ სხდომაზე მენშევიკების ერთერთ ბელადმა, როდესაც კითხვა დაისვა საქართველოს ღერბის შესახებ.

სთქვა და სამჯერ ზედიზედ პირჯვარი გადაიწერა.

კრება, რათქმა უნდა დაეთანხმა მას და საქართველოს ღერბათ მიიღო წმინდა გიორგის გამოხატულება.

არ ვიცი, კარგათ, რამდენი ხანი დაიცვა წმინდა გიორგიმ მენშევიკების საქართველო. ის კი ვიცი, რომ დღეს საქართველოში აღარც მენშევიკები არიან და არც წმინდა გიორგი თავისი ლახვარითა და ბედაურით.

— რა დასკვნის გამოტანა შეიძლება აქედან?-

- —ცხადია, ტარტაროზს წმინდა გიორგი დაუმარცხებია. და თუ დაუმარცხებია, ცხადია „ტარტაროზი“ უფრო თანამედროვე ყოფილა, ვინემ „ლახვარი“ და „შუბი“.

რაც შეეხება „ჰინჯარსა“ და „მაკრატელს“, თავისთავად ცხადია, ტარტაროზი ისე ვერ იმუშავებს თანამედროვედ და ნაყოფიერად, თუ ხელთ არ ექნა „ჰინჯარიცა“ და მაკრატელიც“.

მეორე ჩვენი მოსაზრება „ტარტაროზის“ მოვლინების შესახებ შემდეგში მდგომარეობს:

ამჟამად აუარებელი ცოცხალი მასალა დაგროვდა ტარტაროზის საბრძანებელში—ჯოჯოხეთში გასაგზავნად: მოგეხსენებათ, ჩვენი ტრანსპორტის მდგომარეობა არც იმდენად გამოკეთებულა რომ ესოდენ ძვირფასი აუარებელ მასალა დროზე და დაუბრკოლებლად გადაზიდოს ჯოჯოხეთში.

ამის გამო იქ დიდი კრიზისი შეიქნა, აქ კი საჯოჯოხეთო მასალა უქმად და უსარგებლოთ ფუჭდება.

და რატომ არა ვართ ჩვენ მართალი, როდესაც ჯოჯოხეთიდან ტარტაროზი გამოვიხმეთ პირდაპირი მავთულით და რუსთაველის პროსპექტზე მიუჩინეთ ბინა?.

— ჩვენ ვეუბნებით „ტარტაროზს“:

— მოდით, ჩაიბარეთ რაც კანონითა და სამართლით თქვენ გეკუთვნით, რაშიაც ვერავინ შემოგედავებათ. ჩაიბარეთ და აქვე, ადგილობრივათ გადაამუშავე შენებურათ. ღვთისმადლით, მასალა ბევრია—შენცა და შენს შთამომავლობასაც ეყოფა სამუშაოთ. მარტო ჩვენს დაწესებულებებში რამდენი სატარტაროზე ხალხია თავმოყრილი, ბატონ ლოიდჯორჯსა, იუზსა, მაკდონალდსა და სხვა უგვირგვინო გვირგვინოსანთ რომ თავი დავანებოთ.

ჩვენ ასე ვუთხარით და ისიც ყაბულს არის:

— რა თავში ვიხლი იმ ჯოჯოხეთს, თუ სამუშაო მექნა საყოფი! მართალია უკუპროთა და უცეცხლოთ ძნელი გასაძლებია, მაგრამ არაუშავს—იქნება როგორმე მოვახერხო და იქიდან (ჯოჯოხეთიდან) მომაწოდონ ჩემმა ხელქვეითებმა ყველაფერი ეს—ყოველ შემთხვევაში ეს გაცილებით ადვილი საქმეა, ვინემ ამოდენა ოხრების აქედან იქით გადარეკა.

ასე რომ, ეს საქმე უკვე მოგვარებულია.

„ტარტაროზი“ მარტო არ არის. მისი [illegible] შესდგება სამას სამოცდასამ უნცროს და უფროს თანამშრომელთაგან, რომელნიც უკვე შეუდგენ მოვალეობის აღსრულებას „ტარტაროზის“ ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობა ჩქარის ნაბიჯით მიმდინარეობს და ამ ნამუშევარის ნიმუში თვეში ორხელ იქნება გამოფენილი ხალხის დასანახად.



ტარტაროზინჯერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანება № 1

უზენაეს მთავრობის მიერ გაგზავნილი ვიყავი ჯოჯოხეთში, სადაც იმავე მთავრობის ბრძანებით წავიყვანე ყველა კონტრ-რევოლიუციონერები. მათი ჯოჯოხეთში მიღება ერთბაშად ძნელი გახდა, რადგან აუარებელი წაწყმედილები იდგნენ რიგში და ჯოჯოხეთის ქვაბები ვერ ასწრებდენ მათ დაწვას. საჭირო შეიქნა ქვაბების შეძენა და მუშაობის უფრო ფართოთ მოწყობა, რასაც დასჭირდა საკმაო დიდი დრო. მოვაწყვე რა ჯოჯოხეთში გაუმჯობესებულ ტეხნიკის მანქანები, რომლებიც ყოველ საათში ასი ათასამდე ცოდვილს ინელებს—ვემზადებოდი უკან დაბრუნებისათვის; ამ დროს მივიღე რადიო დეპეშა, რომელშიც **მუშა** მავალებდა სასწრაფოდ დაბრუნებას. თურმე ჩემი აქ არ ყოფნა უსარგებლიათ შავ პირებს და ისევ წამოუყვიათ თავი. ალბად ფიქრობდენ, რომ მე აღარ დავბრუნდებოდი, მიმაჩნია რა აუცილებელ საჭიროებად მათი მოსპობა ჩვენი ხელისუფლების განსამტკიცებლად, ვაცხადებ საყოველთაო გაწვევას და ვბრძანებ:



უნდა შეუდგეთ
მტერზე შეტევას;
მიტომ ვაცხადებ
ჯარში გაწვევას.
პროვინციაში,
სოფლად და ბარად
ჯარის სიაში
შევიდეს ჩქარა
—ყველა, ვისაც კი
უჭრის კალამი

და უყვარს ჩვენი
დროშა-ალამი
ქალაქში მუშა
და პროლეტარი
ასეთ საქმეში
მარად მზად არი.

შესდგეს არმია—
მუშა და გლეხის
მტრების თავზედა
დამცემი მეხის,
ყოველ კუთხეში
ორგულთ უთაქეთ
და გაბაწრული
აგზავნეთ აქეთ.
აქ კი ჩვენ ვიცით—
დავაძრობთ კბილსა
და არ შევარჩენთ
სხეულზე რბილსა.

ბრძანება ესე
ასრულდეს მალე,
წერილის წერა
დაიწყეთ ხვალე
თუ კი მივიღებთ
კვირას თქვენს ძღვენსა—
იმ კვირას ნახავთ
ჩვენს განაჩენსა...

**მთავარ-სარდალი ტარტაროზი.**

საალრიცხვო-განმანაწილებელის გამგე: **ყიამეთი.**

16 ნოემბერი.
ტარტაროზის სასახლე.

დედანთან სწორია.

საქმეთა მმართველი: **ჰინჭარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღია წერილი

### სოლომონ ზურგიელიძეს ტარტაროზის აგენტ ყლინწისაგან.

## წერილი პირველი

სულმნათო, რაც შენ მოგვშორდი გავიდა ბლომად ხანები.
მაქ შეიქენი უთუოდ ნაწამებ-ნახახანები.
ბევრი ვამგზავრეთ მაქეთკენ ბოლო დროს მეფე-ხანები,
მაგრამ ჯერ მაინც არიან ამ ქვეყნად სალახანები.
ეხ! როგორ წახდა დროება, გაჰქრა ის კარგი დრონია.
პოლიციასთან ქეიფში რომ აიკელი ონია.
მწვადის შიშხინსა ვერ ხედავ, მუცელზე არ გაქვს ქონია.
უადგილობით სოლომონ, მაქ იტანჯები მგონია,
მეთხე წელი სრულდება ტკბილად ღიღინებს ერია.
დროშა ამაყად ფრიალებს, გვიყვარს წითელი ფერია.
კაცს პური, ძროხას ბალახი და ცხენს ბევრი აქ ქერია,
ჩვენსა ქვეყანას მოსცილდა ხალხის ორგული მტერია.
სომეხი, ოსი, ოსმალო სულყველა მეგობარია.
ნათესი ხორბლეულობით მიწა მთლად დანაფარია.
ტყვიის ზუზუნი არ ისმის, აღარ გვჭირია ფარია,
ახალ ცხოვრების კანონმა ძველი სამყარო არია.
მიწა გლეხების ხელშია, ბაღმა მოისხა ნაყარი.
ბეჯითად შრომობს, ზეიმობს და ხშირად არის მაყარი.
სწავლის სინათლეს ელირსა ფშავ-თუში, გუდა-მაყარი.
სკოლებს ბავშები ესევა, როგორც ხეს ფუტკრის ნაყარი.
რკინის გზით ჩვენი ქვეყანა იქნება დანასერია.
ოზურგეთამდინ გავიდა (არის პირველი სერია).
იჭრება ბორცვი, სალი-კლდე, მთა პიტალო და სერია,
და ელექტრონით ნათლდება ბნელ გომურებში კერია.
შრომაა გაცხარებული, დრო აღარ არის ჯდომისა.
ყველა სწორია, ამ ქვეყნად, ვით ძუ და ხვადი ლომისა.
მშვიდობა სუფევს ყოველგან ნაცვლათ შფოთის და ომისა.
მოსავალს მიწა იძლევა პურის, მჭადის და ღომისა.
გლეხი სოფელში მუშაობს, ქალაქიც მისი თვალია.
ამათსა შორის კავშირის ღრმად არის ხნული კვალია;
(იქნებ ამიტომ ჩვენ ორგულთ ყელში დაერჭო ძვალია).
ძმამ ძმასა ხელი უმართოს დღეს კანონი და ვალია.
გურიის ხშირი სტუმარი იყავი როგორც თავადი.
ცხენს თოხარიკსა ჰკაზმავდი, გვერდს გიმშვენებდა ნაბადი.
მღვდლებშიაც ლაზღანდარობდი, ვით კათოლიკე აბატი.
საკურთხის ჩვეულს, მოყვარულს არ გაკლდა იხვი და ბატი.
სავსე ხურჯინით ფეხდაფეხ მოგდევდა დიაკონია.
ნაზუთხებს ზურგით ათრევდი, შეგწევდა ამის ღონია.
გლეხის ზურგიდან აიღე რაც მას ებადა ქონია,
დღეს დაუბრუნეს უკანვე ნაცარცვი რაც თქვენ ჰქონია.
ჩარჩს, ვაჭარს, მღვდელს და თავადსა ყველას მოედო ობია.
გლეხებმა მთებში გამოსჭრეს საკმაო დიდი გობია.
ამბობენ: „ერთად იქნება ეს ხალხი დასაწყობია.
გვიან ან მერე გადაყრას ეხლა გადაყრა სჯობია!.
ამ ჟამად „ჩისტკა“ ტარდება, არის ორგულთა ციება;
ძველი ცოდვების სასტიკი იქნება გამოძიება.
აღარ უშველის არავის, კატუნი, მონანიება
ყველას პანღური მოელის, არავის ეპატიება.
სოლომონ, ძველი წერილი ეშმაკის მონაწერია.
ოთხი წელია აღარ სწერს, კალამს მოუტყდა წვერია.
დასტოვა მწარე სირბილით სამშობლო, თვისი კერია,
თაგუნას კატის დანახვით სულ წაუვიდა ფერია.
ნოეთა კეთილ კიდობანს უცბად დაულპა ძირია.
ეზუიტების მონასტრის უმეტესობა მწირია.
ევროპა ამოირჩიეს, აქ სახელმწიფო მცირეა.
დაკარგულ კაბინეტებზე და პორტფელებზე სტირიან.
სოლომონ, პირველ წერილში გწერ მტერზე გამარჯვებასა,
მშრომელი ხალხის ზეიმსა, ერთგული შრომის შვებასა.
ელექტრონების სადგურთა შენებას, მტკიცედ წყებასა,
სოფლების აღორძინებას, ყოველ მხრივ განათებასა.
ვიცი არ მოგეწონება, სახეს გამოსცვლის ფერია.
დაყრუვდა ბევრი საყდრები, მონასტერს სტოვებს ბერია.
(მათ ცოდვისაგან, სოლომონ, თვალი რად დაგიბერია?!)

რა უყოთ, ორი კურდღელი ჯერ არვის დაუჭერია.
შემოგითვალეს: აქეთკენ ნამგალ-ჩაქუჩი არისო.
მაქ ჯოჯოხეთში იყავით თავადნო მეფის-კარისო.
მღვდელო, ბერო და ვაჭარო თქვენც იქით
მიგიხარისო,
ამ ქვეყანას კი პატრონობს მუშა გრდემლის და
ბარისო.

მეშვიდე წელი ვისროლეთ საუკუნეთა არეზე.
ვარსკვლავით მოდის მხედარი წითელი მოასპარეზე.
კავშირი რესპუბლიკების მტკიცეა ყოველ მხარეზე!
კომუნისტური იერიშით მივდივართ მარს და
მთვარეზე.

წმიდა მარიამ, ბასილი და ქრისტე დგანან ყირაზე.
მამა ღმერთს გული წაუდის ყოველ მომავალ
კვირაზე.
ზეცაში ანგელოზები არის სიკვდილის პირაზე.
მაჰხმადი სპეკულიანტობს ჩერვონცებზე და ლირაზე.
ჩვენს მტრებს დასჩემდა შიშისგან ხანგრძლივი
გულის ფრიალი.

აწ ოქტომბერით იწყება ქვეყნის ახალი ტრიალი,
თუმცა მის ჩასაშლელადა ევროპამ მორთო ხრიალი,
მაგრამ მოისმის იქიდან სიკვდილის წინა ღრიალი.
სულმნათო, ესე წერილი შენთვის იქნება მწარია,
მაგრამ რა უყოთ, სიმართლე არ არის დასაფარია.
მაქ დაიმალეთ სოროში, დაჰკეტეთ მაგრად კარია.
ვაი; საწყლებო, თუ მოგვხდათ მაქ ტარტაროზის ქარია.

**ყლინწი.**



ახირებული კაცი გამხდარა ჟორდანია. განა მისი პოლიტიკა არ იყო:—არც მარჯვნივ, არც მარცხნივ და ნეიტრალობა? ამას ჩემსავით თვითონაც არ ასრულებს.

# გაყმაწვილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას გაგვიგონია, რომ ვილაც შტაინახმა გამოიგონა მოხუცებულ ადამიანის გაყმაწვილება. კაპიტალისტებს ძალიან ესაჭიროებათ ეს გამოგონება, ვინაიდან სიკვდილის პირს არიან და არ უნდათ ამ ქვეყნის დატოვება, რადგან ტკბილი კერძია მათთვის. ეს თავისი გამოგონება შტაინახმა ასწავლა მეორე ინტერნაციონალს (ალბათ თვითონაც მენშევიკი იყო). ამ გვარად ბურჟუაზია შეეცადა და შესძლო მეორე ინტერნაციონალის დამეგობრება. და ჩვენ ვხედავთ: აქა-იქ სახელმწიფო ძალაუფლებასაც აბარებენ ხელში. ბატონების ასეთ დიდ ნდობას ხელქვეითები ამართლებენ და ერთგულად ემსახურებიან. ბევრ ქვეყნებში დაუბრუნეს დახავსებულ და სასიკვდილოდ გამზადებულ ბურჟუაზიას სიცოცხლის ჯანი. მაგრამ კაპიტალი მეტად უდიერი რამ არის. როგორც კი იგრძნობენ მოღონიერებას, წამოდგებიან და თავიანთ გამაყმაწვილებელთ ცხვირ-პირს უმტვრევენ. ასე მოხდა ინგლისში.

საწყალმა მაკდონალდმა ცხრა თვის განმავლობაში ერთგული და ენერგიული შრომით ინგლისის კაპიტალისტებს ჯანი დაუბრუნა, მაგრამ სამაგიეროთ რა პატივისცემაც მიიღო, ჩვენ უკვე ვიცით.

მიუხედავათ ამისა მეორე ინტერნაციონალი ისე გულკეთილი და მოყვასი არის ბატონების, რომ მაინც ემსახურებიან. რას იზამ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

მაგრამ, ნუ თუ მეორე ინტერნაციონალიც არ დაბერდება? იგი უკვე სამოცი წლის არი და საკმაოდ მოხრილია წელში. მის გაახალგაზრდავებას ბურჟუაზია არ იკისრებს. განა ხელქვეითის შესახებ ბატონს უზრუნია ოდესმე!

აქედან აშკარაა: როცა მეორე ინტერნაციონალი გადაიცვლება, (და ეს არც ისე გვიან) ბურჟუაზია სამგლოვიარო პროცესიას უკან გაყვება. ჯანის სისუსტე ისე უმტყუნებს, რომ სასაფლაოდან დაბრუნება ველარ შეეძლება. მოსალოდნელია, ბატონი და მსახური ერთად მოეწყონ სასაფლაოს კუპეში და სასწრაფო მატარებელით თავი ამოჰყონ ტარტაროზის სამეფოში.

ჩვენ კი ვეტყვით მათ: გზაც იქითკენ ჰქონდათ.

**ყიამეთი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სრულიად საქართველოს სატარტაროზო კონფერენცია

(ნახევრად სტენოგრაფიული ანგარიში).

1924 წელს (თვე გამორკვეული არ არის) ამ ცოტა ხნის წინად ტარტაროზის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს სატარტაროზო კონფერენცია. წარმოდგენილი იყო დელეგატები ყოველ კუთხიდან (რიცხვი აღარ გვახსოვს, ვერ დავთვალეთ).

სხდომა გახსნა ამხ. ტარტაროზმა.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. (მომხს. ამხ. ტარტაროზი).

2) მთავარ გამგეობის მოქმედება (მომხს. ამხ. არტაროზი).

3) სრულიად საქ. სატარტაროზო პროფკავშირის მომავალი მუშაობა. (მომხს. ამხ. ტაროზი).

4) მიმდინარე საკითხები. (მომხს. ამხ?)

პირველი საკითხის შესახებ მომხსენებელს ყრილობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა: ისეთი მძლავრი ტაში გაისმა, რომ ორ-სამ დელეგატს ვგონებ გულიც კი შეუწუხდა.

ამხ. ტარტაროზმა პირველ ყოვლისა მოუწოდა ყველას სიმშვიდისაკენ და შემდეგ მისივე წინადადებით ყრილობამ დაჯდომით პატივი სცა აწ გარდაცვალებულ „ეშმაკის მათრახს“.

თავის მოკლე და სხარტ სიტყვაში (დაახლოებით $4^1/_2$ საათი ილაპარაკა) მომხსენებელმა დაასურათა მსოფლიოს აწინდელი მდგომარეობა: შეეხო მსოფლიო ომის დასაწყისს, დასასრულს (რომელსაც ბოლო არ უჩანს) ვერსალის ხელ-გახსნილობას და გერმანიის პროლეტარიატის ხელ-ფეხ შეკრულობას, სხვა და სხვა კონფერენციებს, ლონდონის უკანასკნელ კონფერენციას, დოუესის ჩექმას (იგივე გეგმა) ამერიკის და ანტანტის არშიყობას, აღნიშნა, თუ როგორ დაჰცადა ამერიკამ, სანამ საფრანგეთი გერმანიის მზითევების ხარჯთ-აღრიცხვას შეადგენდა და შემდეგ თვით ამერიკა ჩაესიძა კბილ-ჩამტვრეულ, მაგრამ მაინც საკმაოდ მზითევებიან გერმანიის კაპიტალს.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ფაშიზმის ბეგემოტურ პოლიტიკაზე, სათითაოდ დაკარჰლა მეორე კვინტებმარცხიონალის დალალობა, ქიშტი გაკრა ყვითელ პროფკავშირების ობობებს და შემდეგ მოუსვა ჩინეთისაკენ. რაღაი ჩინეთში მივიდა არ იძუნწა და რამოდენიმე დრო უძღვნა საფრანგეთ-ამერიკა-ინგლისის ზრახვებს:

— მაგრამ, ამხანაგებო, სთქვა მან, ანტანტას იქ შეუჩნდა ერთი კბილის მატლი, რომელიც მას როგორც... როგორც... კბილის მატლი ისე აწამებს. ეს არის...

— კარახანი! წამოიძახა ვიღამაც.

— ჰო, დიახ კარახანი! იცით, ვინ არის კარახანი?

შემდეგ მომხსენებელი მოუყვა კარახანის ბიოგრაფიას.

ჩინეთის შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ავღანისტანში არ დასტოვა არც სპარსეთი და ბოლოს მოსდგა მენშევიკების ავანტიურას. ამაზე კარგა ხანს აპირებდა ლაპარაკს ორატორი, მაგრამ შეატყო, რომ ზოგიერთ წარმომადგენელმა დასამთქნარებლათ პირი გააღო და ზოგს ჩასთვლიმა კიდეც. (მკვდრებზე აღარ ლაპარაკობენ, ჩაილაპარაკა ვიღამაც) ორატორმა ბოდიშის მოხდის კილოთი თქვა: კაი ბატონო, აღარ ვილაპარაკებ—და შეუდგა ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკას ჩვენს მიმართ: ილაპარაკა ინგლისის ცნობაზე და მაკდონალდის მთავრობის ცნობის (თუ ცდების დაკარგვაზე), ერიოს სიყვარულის წერილზე, რომელმაც ტრფობით ცნობა გამოუცხადა საბჭოთა კავშირს და თან სამზითვოს ქაღალდს ამზადებს.

შემდეგ ილაპარაკა... ილაპარაკა... ილაპარაკა... ერთი სიტყვით ბევრი ილაპარაკა.

მომხსენებელი მოუწოდებდა სხდომას გამოენახათ ყველაზე უკეთესი საშუალება, რომელიც წამალივით შეუშხაპუნებდა შინაურ და გარეშე მტრებს და საკუთარ სიმახინჯესაც არ დაინდობდა.

მოხსენების შემდეგ ილაპარაკა 37 პასუხისმგებელმა... ორატორმა.

ბოლოს საერთო ხმის მიცემით (თავმჯდომარემ თავი შეიკავა, მდივანიც შეაკავეს) გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია:

სრულიად საქ. სატარტაროზო კონფერენცია უკმაყოფილოდ აღნიშნავს ძველი წინაპრების მოქმედებას, აღნიშნავს, რომ საზოგადოების გამოსაფხიზლებლათ და ხორცმეტების გამოსაშიგნ-საღვიძლებლათ საჭიროა ისეთი ორგანოს (ოღანი არ ეგონოს ზოგიერთ სამიკიტნოებში ნაჩვევს) დაარსება, რომელიც ზოგს გასაღიმებლათ ფეხის გულში მოუფხაჭუნებს და ზოგს მოსაჭკვიანებლათ თავშიც ჩაუფართხუნებს.

ამავე ორგანომ უნდა გადაიხედოს შინაურ ლობეყორეს გადაღმა და ეზოში ვინმე წუწწკალი არ ჩამოუშვას, ამავე ორგანომ უნდა შეიხედოს ყოველ ბნელ კუნჭულში და თუ ვინმე მავნე იმალება, კარგად გამოამზეუროს; ამავე ორგანომ უნდა გადაიკიდოს ხმალ-ხანჯალი და საწყლების ზურგზე გასუქებულს ტარიან-ქარქაშიანა შიგ ჩუმპუში (ჩუმპუ იგივეა რაც ღიპი. იხილე ი. უიმედაშვილის ლექსიკონი) უნდა შვეტოს (ე. ი. ჰკრას. იხილე ლაღიძის კაფეს წინ მოდარაჯე გალიფიან ძმა-ბიჭების ლექსიკონი); იგივე ორგანო უნდა გახდეს ჩარჩების, მღვდლების, მიკიტნების, ხაზეინების, ანჩხლი სახლის პატრონების, მატარებლების არა საიმედო რევიზორების, თავგასულ ნაჩალნიკების, თავდავიწყებულ სპეცების და განყოფილების გამგეების, ძველი ხორცით მოვაჭრე ყასბების, ანგარიშ დაბნეულ ბუღალტრების და ზახვოსტების (ზავხოზი) და სხვათა და სხვათა ბანდიტ-ბუნდიტების გამქირდავგამქიშტავი, ამ ორგანომ უნდა შეადგინოს ზემო აღნიშნული პირთა სწორი სტატისტიკა, შეავსებინოს ყველას ანკეტები, გამოიანგარიშოს რამდენი როზგი ან მათრახი, ან კინწის კვრა ეყოფა მუშებისა და გლეხებისთვის მავნე

პირებს, თუ სწორ მოანგარიშეებს ვერ იშოვის, შეუძლია გახსნას ბუღალტერიის კურსები, ამავე ორგანომ უნდა გახსნას ცემა-ტყეპის სალიკვიდაციო სკოლები. ამავე ორგანომ უნდა გაიკეთოს ოთხმოცი თვალი და ას ოთხმოცი ყური, შეიხედოს ყოველ წარმოებაში, ყოველ ქარხანაში და დაწესებულებაში და გამოარკვიოს არის თუ არა რიგინათ კედლის გაზეთების, კულტ-განათლების, სატარიფო-ეკონომიური და სხვა საქმეები. ამავე ორგანომ უნდა დააწესოს ტფილისში ძლიერი რადიო-სადგური, დაბასოფლებიდან მოისმინოს იქაური ჭირ-ვარამი და რადიოთივე გაუგზავნოს სასწრაფო დახმარებები, თუ საჭირო იქნება გახსნას სოფლის სიმახინჯის საექიმო სადგურები, ამავე ორგანომ... ერთი სიტყვით ეს ორგანო უნდა იყოს მტრისთვის თავის შაქარი და მოყვრისთვის თავი შაქარი—რაფინადი.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო სხდომა, მოაწყვეს ოქტიაბრინი. განსაკუთრებულმა კომისიამ გამოიყვანა ხელში აყვანილი სანდოიანი სახის ყმაწვილი და ჩააგდო იქავე მომზადებულ ქვაბში; რომელშიაც იყო მაზუთი, ნავთი, ქვა-ნახშირი, მარგანეცი და სხვა დავიდარაბა. შემდეგ ამოიყვანეს და გამურული დასვეს იქავე ხალიჩაზე. კონფერენციამ მიიღო შეფობა ამ ყმაწვილზე და სახელათ დაარქვა **ტარტაროზი.**

**ტერსიტი.**



„ფაშისტებო ყველა ქვეყნისა, შეიარაღდით“.

# შარადები.

1

შარადის დასაწყებადა
[illegible]ხმაროთ საგნის ნაწილი,
რომლითაც ხელში უჭირავს
[illegible]სა დანა მახვილი.
მხოლოდ ვიცოდეთ შარადას
[illegible]გებს მთელი სახელი.
[illegible] ასო მოვგლიჯოთ
[illegible] ვახლოთ სხვას ხელი.
[illegible]დარჩა ორჯერ დავსწეროთ,
[illegible]ხოულობს შარადა.
[illegible] მოვძებნოთ ოსტატი
ქალაქებში და ბარადა.

ძველ ნანგრევებზე ის აგებს
ახალ სახლებს და დარბაზებს;
თავის ერთგული შრომითა
მშრომელთა მტერებსა აბრაზებს
ვთხოვთ უკანასკნელ სამ ასოს,
ჩვენთვის ისინი ძვირია.
მას ხუთი ასო კვლავ რჩება,
ისინი ჩვენ არ გვჭირია.
უკვე მზად არის შარადა,
დღეს დაიბადა ჩვილია.
ხელში გვიჭირავს ჩვენ იგი,
„მუშის“ ხუმარა შვილია.

**სამტრედიელი ოინბაზი.**

2

პატარა ქალსა მოვსტაცოთ
მოფერებითი სახელი;
ორი მარცვლიდან შესდგება,
ყველა ვართ მისი მნახველი.
ვგონებ ნებითაც გვათხოვოს
(რისთვის წავართვათ ძალათა?)
რადგან გვჭირდება ჩვენ იგი
შარადის შესავალადა.

შევიდეთ გლეხის ოჯახში,
თიხის ჭურჭელი გვჭირია.
ამ ჭურჭლის წინა მარცვალი
ვისესხოთ, არ ღირს ძვირია.
წინა ორ მარცვალს ეს ერთიც
უკლებლათ მივაკეროთა.
შარადა უკვე მზად არის,
აქ აზრიც შევაჩეროთა...

მაგრამ შარადა არც ასე
ადვილი ასახსნელია.
წავიდეთ უცხო მხარეში,
გავდგათ ნაბიჯი გრძელია,
ვნახოთ ქვეყანა ტანჯული,
რომელიც ახალშენია.
მტერს ებრძვის და ეუბნება:
„აწ აღარა ვარ შენია“.

ბრძოლას არ უჩანს საზღვარი,
სისხლი კვლავ ბევრი ილვრება.
არ ვიცით ძლევის სასწორი
რომლისკენ გადაიხრება.
არ უნდათ მტერი რომ იდგეს
თავიანთ მიწა-წყალზედა;
ჯერ გამარჯვება მისია,
მტრის ჯარს ამარცხებს ძალზედა.

სწორედ ამ ქვეყნის სახელი
არის ეს ჩვენი შარადა
აწ კი მიხვდებით სულ ყველა
მხოლოდ იფიქრეთ წყნარადა.

3

გაზაფხულის პირველი თვე
გვჭირია და უნდა ვნახოთ.
მას პირველი სამი ასო
მოვაკლოთ და შევინახოთ.
ჩვენი მთავარ მდინარისა
შენაკადი გვინდა ერთი.
(თვითონ მიხვდეს რომელ მხრიდან
არის მასთან შენაერთი)
მას ბოლოდან ჩამოვაკლოთ
შარადისთვის სამი ასო
შეუერთოდ პირველ სამსა
და საგანი საბაასო
— დასრულდება, მაგრამ მთელის
ძნელი არის განმარტება;
თუ რომ სხვაგზით მას არ ექნა
შესაფერი დამატება.
ამისათვის საჭიროა
მოვიგონოთ ჩვენ ის გმირი,
ვინც მშრომელებს მკვეთრი სიტყვით
ამცნო თვისი გასაჭირი.
მან გააცნო, თუ ვინ იყო
მათი მტერი და ორგული;
დაუტოვა შრომა, ცოდნა
ვით ძვირფასი თაიგული.
მისი სიტყვა სწორი იყო,
ის სიმართლეს არ ჰფარავდა,
მაგრამ ვწუხვარ რომ შარადა
მეტად გაძოაშკარავდა.

**ალ. ხარატიშვილი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიხარული

დღეს მივიღე დილით **„მუშა“**,
სიხარულით მომხარა:
„ტარტაროზი“, „ტარტაროზი“;
ერთმანეთზე მომაყარა.

გადავხედე ჩვენს ქვეყანას
მისი სახე მესხვაფერა:
შიშისაგან გარბის მღვდელი
ჯვარიანი და გრძელ წვერა.

იქ ვაჭარი მობუზულა,
არ აჩერებს ფულებს დახლში.
სპეცი დიდი პორტფელითა
დაღვრემილი მიდის სახლში.

მაგიდაზე არ უწყვიათ
ქალებს პუდრი და პამადა.
სპეკულიანტს დაჰკარგვია
ქეიფის და ჭამის მადა.

თეთრ კბილიანს შავი გულით
მისცემია სიცხე თავში.
ძველი მგელი ველარ მალავს
თავის თავსა ცხვრისა ტყავში.

დავინახე ტარტაროზი,
ვიგრძენ მისი ძალა დიდი.
ყველას მოსცხებს ცუდ საქმისთვის,
არ ექნება არვის რიდი.

რა მოვიდა ტარტაროზი
აწ მე რაღა დამალონებს!
ჩვენი მტრების: „ვაი-ვაი“-ს
ტარტაროზი გამაგონებს.

დღეს მივიღე დილით **„მუშა“**
სიხარულით მომხარა:
„ტარტაროზი“, „ტარტაროზი“
ერთმანეთზე მომაყარა.

**ყიამეთი**



## ჯორიდან გადმოხტომა

უმუშევრობა ევროპაში არა ნაკლებია ვიდრე ჩვენში. ჩვენი ემიგრაცია, როცა გამოელია აქედან გატანილი ქონება, იძულებული შეიქნა სამუშევარი გამოენახა. მოაწყვეს ქუჩის მტკეპნელთა სააქციონერო ამხანაგობა. სამი წლის განმავლობაში ევროპის უმთავრესი სატახტო ქალაქების ქუჩები მოტკეპნეს და ამ ჟამათ ისევ უმეშვრები არიან. ბევრ მათგანს სამშობლოში დაბრუნება განუძრახავს: ამას წინად ადგილობრივ გაზეთებში გამოქვეყნებული იყო გრ. ვეშაპელთან საუბარი, რომლიდანაც სჩანდა, რომ მას დაბრუნების სურვილი დაჰბადებია. (ჩვენ არ ვიცით ვინ არის ახალ დაბადებული სურვილის მამა). საჭიროთ მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ ტარტაროზს მასთან არავითარი წინასწარი მოლაპარაკება არ ჰქონებია.

ტარტაროზის მოსვლა და ვეშაპელის აქეთკენ პირის ბრუნება შემთხვევითია. ჩვენში კიდევ არიან ისეთები, რომლებსაც კისერი სტკივათ იქეთკენ ცქერით. ის კი აქეთკენ იცქირება.

ვეშაპელი აცხადებდა, რომ ყველა პატიოსანმა და ჭკვიანმა ქართველმა არსებულ ხელისუფლებასთან უნდა ითანამშრომლოსო. ვინც არსებულ ხელისუფლებასთან თანაშრომლობს ყველა არ არის პატიოსანი და ჭკვიანი, თორემ ტარტაროზს არ დასჭირდებოდა აქ ამ ქვეყნად მოსვლა.

ყოველ შემთხვევაში ვეშაპელი რომ არ გვეგონა, ბევრზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა. ეს ჭკუა მას კიდევ დამფუძნებელ კრებაში ეტყობოდა. ტარტაროზს არაფერი აქვს საწინააღმდეგო მის საბრძანებელში შემოვიდეს ის, ვინც ეძებს ჭკუას და პატიოსნებას.

ჩვენ არა ერთხელ გაგვიფრთხილებია ემიგრაცია, რომ ჯორს ნუ ენდობა და ნუ შეჯდება მასზე. ამ ბერწ მანდილოსანს მეტად ახირებული ჩვეულება აქვს. მიდის... მიდის და თუ მოეპრიანა-დაესობა ერთ ადგილზე და ფეხს არ მოიცვლის — ხშირად უკან დაბრუნდება და მიგაჩიქჩიქებს იქ, საიდანაც წადი.

სწორედ ასე მოხდა. ჯორზე ჯდომა არ მოიშალეს. ეს ჯორი ბევრს უჩერდება ერთ ადგილზე და მხედარი იძულებული ხდება ძირს გადმოჰხტეს... ვეშაპელის ჯორმა კი ტლინკვები აჰყარა და თავის მხედარს მგონი მოიყვანს იქ, საიდანაც წავიდა.

**კონწარი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯორთა შეჯიბრებაზე... ჯორთა შეჯიბრებაზე, გასწით ჩვენო ჯორებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა




ყვავს გაუვარდა პირიდან ყველი
და ჩაისველა მელიამ ყელი.

# საპნის ტრესტი

ტარტაროზმა მოსვლისთანავე მიაქცია ყურადღება წენი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინების საკითხს და ჯერ-ჯერობით გახსნა საპნის ქარხანა, სადაც უმთავრესად მზადდება სარეცხი საპონი.

ტარტაროზმა კარგად იცოდა, რომ ჩვენში მეტი მოთხოვნილება ჰქონდა უმაღლეს ხარისხის საპონს. ბევრი საბჭოთა მოსამსახურე ქალები ჯამაგირის ყოველ მიღებაზე ყიდულობდენ ლორიგანის საპონს, პუდრს და სხვა და სხვა ფერის ტუჩების საღებავს, მაგრამ ტარტაროზმა ისიც იცოდა, რომ მახინჯების გალამაზება შეუძლებელია ამ საშვალებით; თანაც მხედველობაში ჰქონდა, რომ ასეთი პირები უფრო ადვილი შესამჩნევია რევიზიის დროს.

ამას რომ თავი დავანებოთ, ძვირფას საპნების დამზადებას სხვა მასალა სჭირია.

ერთი სიტყვით, ტარტაროზმა უპირატესობა მისცა სარეცხ საპნის დამზადების საჭიროებას.

ასეთ საპნის დასამზადებლად ჩვენში აუარებელი მასალა იშოვება.

საკურთხ-სალოცავებით გასუქებულნი სამღვდელოება, ღიპიანი სპეკულიანტები, ჩასუქებული ვაჭრები, თავადაზნაურობა, რომელიც დარჩენილა და რომლის ნაწილს ჯერ კიდევ შენახული აქვს ძველი ქონი, სოფლის კულაკები და ბაცაცები, რომლებიც ცდილობენ გლეხების ზურგზე გასუქებას და აგრეთვე გაძვალტყავებული (ძვალიც აუცილებელი საჭიროებაა), შავგულიანი და კბილდაკრეჭილი ძველი ჩინოვნიკობა—აი ის მდიდარი და ნოყიერი მასალა, რომლიდანაც შეიძლება მათი მოხარშვის და გადადუღების შემდეგ, სარეცხი საპნის დამზადება. ამათი შეძენა ძალიან ადვილი და იაფია. ამას გარდა მრავალი სხვა ნაგავიც არის ჩვენში.

ამნაირად სარეცხი საპნის დამზადება უფრო მოსახერხებელია. ტარტაროზის შემდეგ მას დიდი გასავალი დაურჩება, მიუხედავათ იმისა, რომ მეტად მყრალი სუნი ექნება ამ საპონს, რადგან მყრალ და დამპალ მასალებიდან დამზადდება.

ჩვენში მრავალი არის გასასაპნავი.

მარტო მღვდლების გასაპარსავათ, ტარტაროზის გამოანგარიშებით, საჭირო იქნება 300 ფუთი საპონი. ამას გარდა ჯოჯოხეთში გასაგზავნი ყველა უნდა გაისაპნოს, რომ მათი გადაგზავნა სწრაფათ ხდებოდეს.

ის მანდილოსნები, რომლებიც დღეს ჯამაგირს მხოლოდ ლორიგანში აძლევენ, ყველა გასასაპნავი იქნება. ასე რომ მოთხოვნილება სარეცხ საპონზე მეტად დიდი იქნება.

ჩვენი სოფლები მდიდარია ამ მასალით; მათ შეუძლიათ მოგვაწოდოს ნედლი მასალა, რითაც ხელს შეუწყობს თავისი მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესობას.

**შხამიანი.**




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბროსის ახალი ნაშრომი

სრულიად შემთხვევით ტარტაროზს ხელში ჩაუვარდა სრულიად საქართველოს კათალიკოს ამბროსის სრულიად ახალი შრომა, ისე როგორც სრულიად საქართველოს არა ლეგალურ ცეკის მიწერ-მოწერა უვარდებოდა ჩეკას. ალბად ავტორი ევროპაში აგზავნიდა, მაგრამ წერილმა თავი ამოჰყო ტარტაროზის კაბინეთში, ისე როგორც ბევრი მიუპატიჟებელი სტუმრები უშუალოდ მიდიოდენ ჩეკაში, თითქოს იქ ჰყოფილიყოს ჩამოსახტომი სადგური.

წერილი ფრიად საინტერესოა და ამიტომ ვაქვეყნებთ ჯერჯერობით მის ნაწილს.

წერილი იწყება ასე:

„სახელისა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმინდისათა ამინ“.

დიახ, ქრისტე იყო მენშევიკი და მაჰმადი კი ბოლშევიკი. შევადაროთ ერთმანეთს მენშევიკი და ბოლშევიკი, ქრისტე და მაჰმადი.

მენშევიკები ამ ქვეყნად მოვიდენ ბოლშევიკებზე უფრო ადრე, ქრისტეც მაჰმადზე ადრე მოვიდა. მენშევიკი არასოდეს არ ყოფილა მებრძოლი. ისინი ბედნიერ ცხოვრების დამყარებას ქადაგობით აპირებდენ. ბოლშევიკები კი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული არიან; იარაღით უნდათ მოსპონ მტრები და დაამყარონ კომუნა.

ამგვარად ქრისტე იყო ლიბერალი, რეფორმისტი და ოპორტიუნისტი, როგორც არიან მენშევიკები: ხოლო მაჰმადი რევოლიუციონერი, რადიკალი და აქტივისტი, როგორც არიან ბოლშევიკები.

ქრისტე ამბობდა: „მარჯვენა ყბაში რომ სილა გაგარტყან, მარცხენაც მიუშვირეო“. ბოლშევიკებიც ასე იქცევიან. მართალია ამის გამო მათ ბევრი დამცირება ხვდება, მაგრამ მაინცადამაინც ვერ გრძნობენ და სამაგიეროდ ისინი ნეტარნი არიან, რათა სასუფეველი მოელის მათ.

ჩვენ ვიცით ქრისტეს იგავი გლახა ლაზარეზე, რომელიც მდიდართა სუფრის ნამცეცებით იკვებებოდა. სამაგიეროთ სიკვდილის შემდეგ აბრამის წიაღსა შინა იმყოფება. ასე არიან ეხლა მენშევიკებიც: კაპიტალისტების ნასუფრით იკვებებიან, მაგრამ ლაზარესავით ნეტარნი იქნებიან საიქიოს.



ქრისტე ამბობდა: გიყვარდეს თავისი თავი სხვაზე უფრო; შეიყვარე თავისი ცოლი, როგორც გიყვარს სხვისი ცოლიო! იგი წინააღმდეგი იყო მრავალცოლიანობის. თვითონ მას ერთი ცოლიც არ ჰყოლია, მაგრამ ისეთი მოყვასი იყო, რომ მრავალი საყვარელი ჰყავდა. მარია მაგდანელი ჭეშმარიტ ცოლსავით უყვარდა და „პატივს სცემდა“.

მენშევიკებიც ასეთები იყვენ, მინამ ღვდელიდან არ მიიღებდენ კურთხევას, ცოდვათ მიაჩნდათ...

ბოლშევიკები კი „ზაგსით“ კმაყოფილდებიან და ღვდელებს სდევნიან.

მაჰმადი მრავალ ცოლიანობას ქადაგებდა. ამ გვარად ჩვენ ვხედავთ იგივეობას ერთი მხრივ ქრისტეს და მენშევიკს შორის; მეორე მხრივ მაჰმადსა და ბოლშევიკებს შორის.

ქრისტე მხოლოდ სიტყვებით ცდილობდა თავისი მოძღვრების გავრცელებას: ასე იქცეოდენ მენშევიკებიც! საწყლები თავ-გატეხილსავით ჰყვიროდენ, მაგრამ ერთხელაც არ დაუტანებიათ ძალა თავისთვის თავიანთი მოძღვრების განსახორციელებლად. მაჰმადი კი „ცეცხლითა და მახვილით“ ავრცელებდა თავის მოძღვრებას. ასე იქცევიან კომუნისტებიც.

ერთხელ ქრისტეს ეშმაკი შეუჩნდა და სახლის სახურავიდან კინაღამ გადმოახტუნა გაბრიყვებით, მაგრამ ვერ შეაცდინა მაცდურმა; ქრისტე არ გადმოხტა და არ დაიმტვრა. ასეთი შემთხვევა მენშევიკების სიცოცხლეშიც იყო. თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ბოლშევიკები ეშმაკსავით შეუჩნდენ, რათა გაერეკათ დიდებულები, მაგრამ მენშევიკები არ შეცდენ, და არ შეცდენ იმიტომ, რომ ქრისტე სწამდათ. მართალია, ეშმაკებმა მაინც გადმოაგდეს, მაგრამ ქრისტიანებად მაინც დარჩენ.

ყველა ზემო თქმულიდან ნათლად სჩანს, რომ ქრისტე იყო მენშევიკი და მაჰმადი კი ბოლშევიკი: ....

ტფილისი... **ამბროსი-**

ქვევით სწერია „წერილი ფრთხილად გაიტანეთ. გავიგე ტარტაროზი ჩამოსულა. აბა კარგ ვინმეს მოიყვანდა „მუშა“?... ერიდეთ...

**ასპიტი.**



# ჩემი თვალით ნახული

ტარტაროზის მიერ გაგზავნილი ვიყავი საიქიოში, რათა გამეგო იქაური მდგომარეობა.

უნდა მოგახსენოთ, რომ საიქიოში არასოდეს არ ყოფილა ამოდენა ხალხი, როგორიც ეხლა არის. შვიდი წლის განმავლობაში საიქიოდან განდევნილები ყველა იქ არიან.

პირველად შეველ ფოსტაში, რომ აქეთ ტარტაროზისთვის დეპეშა გამომეგზავნა და მემცნო მისთვის ჩემი მშვიდობიანი მგზავრობა. ფოსტის შენობა უზარმაზარი დარბაზია. ყველაზე უფრო მუშაობს ამანათების განყოფილება, რომლის გამგეთ თვით მამა ღმერთი არის. წვერები კიდევ უფრო დაგრძელებია და გათეთრებია. მის განყოფილებაში მუშაობენ მიქელა და გაბრიელა ანგელოზები. ქრისტე ქვითარებს სწერს და რეგისტრაციას უშვება მიღებულ ამანათს. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დავინახე თელავის ფოსტის უფროსი მ. სოლოვიოვი, რომელიც ამანათებს იღებდა და თანაც ერთ მანდილოსანს ეარშიყებოდა. ამ დროს უეცრად გაისმა ხმა და ყველა ფეხზე წამოდგენ. როგორც კი გამოჩნდა საბარგო ავტომობილი, სოლოვიოვმა მთელი თავისი ძალღონით დაიწყო სიმღერა: ,,Боже царя храни‘‘, მას აყვენ სხვები.

ავტომობილიდან ჯერ გადმოვიდა ნიკოლოზ მეორე, მერე ალექსანდრა ფეოდოროვნა, რომელსაც მიეგება გრიშკა რასპუტინი; ხელზე აკოცა და რაღაც წასჩურჩულა, (როგორც ეტყობოდა პაემანი დაუნიშნა) მერე გადმოვიდენ გენერლები, სამღვდელოება, აფიცრობა, კაპიტალისტ—ბურჟუები და სხვა ასეთები.

იმავე საღამოს ედემის ბაღში გაიმართა დიდი მიტინგი ღმერთის თავჯდომარეობით. მიტინგზე გრძელი სიტყვა წარმოსთქვეს ნიკოლოზმა, გრიშკა რასპუტინმა, დასასრულ მიღებულ იქნა ქრისტეს მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია: ,,მოვისმინეთ რა მომხსენებელი, საიქიოს მკვიდრი მცხოვრებნი უცხადებენ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობას თავის გულის წყრომას და გმობას იმის გამო, რომ დედამიწის $^1/_6$ ნაწილზე გაამეფეს ჩვენი მონები— გლეხი და მუშა და ბრწყინვალე საზოგადოებას მუსრი გაავლეს და აღგვეს მიწისაგან. მრავალი ჩვენები კიდევ დარჩენილი არიან ცოდვილ მიწაზე და ამისათვის ეთხოვოს ჩეკას, რათა ისინიც საჩქაროთ გადმოგზავნილ იქნენ ჩვენთან*).

დაევალოს ედემის კომუნალურ განყოფილებას, რათა ახალ სტუმრებისათვის გამონახულ იქნეს შესაფერი ადგილი‘‘.

*) სწორეთ ამისათვის მოვედი მეც.

ტარტაროზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლოვიოვმა შეიტანა შემდეგი დამატება: „რადგან თელავის და მისი რაიონის მცხოვრებნი ვერ აფასებენ ეპოს გამგე იაკოშვილის და კოოპერატივის გამგე ტ. ხაჩიძის მუშაობას, რომელიც მეტად ნაყოფიერია მით, რომ თვითეულმა მათგანმა გაქაფული ფულებით შეიძინეს ტფილისში და თელავში ორ სართულიანი სახლები და ვენახები და კოოპერატივის საქმეები იმდენად აინტერესებდათ, რამდენად წყარო იყო მათი კეთილ ცხოვრებისა, ამიტომ სთხოვოს გამწმენდ კომისიას ეს ვაჟბატონები გადმოსახლებულ იქნენ აქ. ამით ბოლო მოეღება თელავის კოოპერატივში ნავთის რიგს. კომისიამ ყურადღება არ უნდა მიაქციოს სადილ-ვახშმებით და რთველებით გამოხეთქილ დამცველთა კოლეგიას“.

ეს დამატება მიღებულ იქნა ერთი ხმით.

**„თელაველი მაშხალა“**

**წ. შ.** უკანასკნელ ოფიციალური ცნობებით იაკოშვილს და ხაჩიძეს ბარგი-ბარხანა უკვე მოუკრავთ და ემგზავრებენ საიქიოს. ხაჩიძის ხურჯინი გუშინ გოგიაშვილმა თავის ზურგით ჩაიტანა სადგურში, რისთვისაც მიიღო საჩუქრათ 8 კაპეიკი.

„თ. მ.“

**წ. შ.** ამხ. ტარტაროზი, ხაჩიძეებ-იაკაშვილები ჯერჯერობით კიდევ ბევრი არიან თელავში. კარგს იზამ, რომ ამოხვიდოდე ერთხელ აქეთ და მოგვაშორებდეთ ასეთ პირებს.

„თ. მ.“.

# პროვინცია

**ხაშური**

ჭირეთის რესპუბლიკამ ომი გამოუცხადა ქათმების რესპუბლიკას.

ადგილობრივმა ქათმებმა ამის გამო დიდი საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს.

დემონსტრაცია მიმდინარეობდა „ძირს ქათმის ჭირი“-ს ლოზუნგის ქვეშ.

დემონსტრანტებს წინ მიუძღოდა ინდაურების ორკესტრი და მამლაყინწების გუნდი.

საქათმეთის დელეგაცია დღეს წარუდგა მთავარმამალს და აღუთქვა ქუდზე ქათმის გამოყვანა.

დელეგაციამ მოითხოვა აგრეთვე ჭირეთთან ბრძოლაში დაცემულ მეომრების ზეიმით დასაფლავება კუჭის სასაფლაოზე.

საქათმეთის წარმომადგენლებმა ინახულა აგრეთვე ადგილობრივი სანიტარული კომისია და მემორანდუმი წარუდგინა პროტესტით ჭირიან ქათმების სასაფლაოთ სურამულას გამოყენების წინააღმდეგ.

**ბაჟბარინა.**

**ზესტაფონი.**

დამთავრდა ადგილობრივი მიკიტნების კონფერენცია.

კონფერენციაზე გაიცნო ადგილობრივ ალმასკომის მიერ გამოცემული დადგენილება.

დადგენილების ძალით აკრძალულია რამოდენიმე დღით ღვინით ვაჭრობა, ახალგაზრდობის წითელ ჯარში გაწვევის გამო.

მხურვალე კამათის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, კონფერენციამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

ქალაქ ზესტაფონის მიკიტანთა კონფერენციამ, მოისმინა რა მოქ. წითელ ცხვირაძის და მუცგაბერილაძის მოხსენება ალმასკომის მორიგი დადგენილების შესახებ ადგენს:

ჩვენ ზესტაფონის მიკიტნები, საქართველოს რესპუბლიკის ერთგული შვილები ვართ.

დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლოს დასაცავად წითელი ახალგაზრდობა იარალის ქვეშ სდგება ჩვენ წმინდა მოვალეობათ მიგვაჩნია მათი წითელი ღვინით პატივისცემა.

ამიტომ კონფერენცია წინადადებას აძლევს ალმასკომს დახუროს წითელი სასადილოები, რადგან ამ დღეების განმავლობაში ქეიფი მხოლოდ ჩვენს დუქნებში იწარმოებს.

ფასები, მიუხედავათ არაჩვეულებრივ შემთხვევისა, ჩვეულებრივი (ტყავის გაძრობის) წესით მოხდეს.

დადგენილება ესე ეცნობოს ალმასკომს ტელეგრაფის საშვალებით.

**კიტკიტა.**

**წნორის წყალი.**

მამალი ცხვრების მიერ დათა გონაშვილის წინააღმდეგ აღძრულია საჩივარი.

მამალი ცხვრები ბრალს სდებენ ყასაბ გონაშვილს შეურაცხყოფაში; კეთილშობილ მამალ ცხვრების ხორცის ნაცვლად გონაშვილი დედალ ცხვრებს ჰყიდის და ამით მამალ ცხვრების თავმოყვარეობას ფეხ ქვეშ სთელავს.

**იქიდანვე.**

გახსნილია ლანძღვა-გინების განსაკუთრებული სკოლა:

მასწავლებლათ მოწვეულია ცნობილი სპეციალისტები და მათ შორის ყასაბი დათა.

მსურველმა უნდა მიმართოს მასვე.

შესვლის დროს იწარმოებს გამოცდები.

სავალდებულოა 4 სართულიანი გინების კურსის ცოდნა.

**ხითი-ხითი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ამხ. ტარტაროზ!**

19000 წლიდან აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი „ეშმაკების“ პარტიაში.

19007 წლიდან სატარტაროზო კარების გახსნის შემდეგ სავსებით გავანებე თავი ეშმაკობას და ვიდექი ჩემთვის ჯოჯოხეთის ერთ კუთხეში ატუზული.

სრულიად გულწრფელად და ტარტაროზის ჩანგალის ყოველგვარ შიშის გარეშე ვაცხადებ ყველას გასაგონათ, რომ დღეიდან მე გადავდივარ „ტარტაროზის“ პლატფორმაზე.

ჯოჯოხეთური სალამით **კუდიანი.**

ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა № 3.

# 16 ნოემბრიდან გაიხსნა ყოველგვარ სნეულებათა სამკურნალო

მთავარ ექიმათ ჯოჯოხეთიდან საგანგებოთ მოწვეულია
დამსახურებული დოსტაქარი

# ტარტაროზი

**ა რ ჩ ე ნ ს:** თავქარიანებს, სიყვარულით დაჭლექებულთ, სიზარმაცით დასნეულებულთ, ბევრ-ჭამით გასიებულთ, ლიპს, დაკუნტებულთ, რომლებსაც მხოლოდ ავტომობილით შეუძლიათ ამ ჟამათ სიარული და სხვა.

**ა ს წ ო რ ე ბ ს პ ი რ ი ს ა ხ ე ს:** ადიდებს ყურებს, ამოკლებს გრძელ ენებს, სთხრის კბილებს, უსწორებს ცხვირს, ვისაც ზევით აქვს აშვერილი და სხვა.

აქვე მოწყობილია ლაბორატორია, სადაც ხდება: ადამიანის გადამუშავება, თავების გა-დადუღება და ერთ ერთავად გადაკეთება, ჭკუის და ენის აცრა.

**პროვინციებიდან გამოგზავნილ რეცეპტებზე სასწრაფოდ მზადდება და იგზავნება შესაფერი წამალი.**

ტარტაროზი ღებულობს ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

ნახვა შეიძლება დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

**რუსთველის პროსპექტი № 24, ტელეფონი 9-03**



პასუხისმგებელი რედაქტორი პ. შ. ხაჭვარელიძე